ცნობის ფურცელი

№ 2430 შაბათი, 6 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2430

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-ით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ნქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი.

ტელ. № 617.

კვირას, 7 მარტს, 1904 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად **ახალი** პიესა დაკლებულის ფასებით

ცხოვრების გარედ

თანამედროვე სურათები 4 მოქმ. ვ. პროტოპოპოვისა, თარგმ. თ. შველიძის მიერ.

◆ ამ პიესამ რუსეთში წარსულ სეზონში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ◆

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთლი, მ. მდივანი, ნ. როინელი, როსტომაშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისთვის ადგილები 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

მზადდება წარმოსადგენად „ექიმი შტოკმანი“, „სხვის ნაოხარზე“.

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 7 მარტს, წარმოდგენილი იქნება

დემონი

ოპერა 3 მოქმ. მუს. რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, იანსი, ლელინა; ბ-ნნი: კორჟევინი, ილიუშჩენკო, ბრაგინი, ბუხტოიაროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეულია. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 8 მარტს—„პიკოვაი დამა“; 9 მარტს—„მინიონი“. (1—20)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—მადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. კლ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

გ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. სოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. ამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. წლ.)

ტელეფონი № 274

ქუთაისში ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა. (0—ნ.—64)

კბილის ექიმი ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; საღამოში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ. საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში კბილის ექიმი მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

მკურნალი მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

სია

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. განმავლობაში.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
22	ლუკა ჯავახიშვილი	6	—
23	ათანასე თ. ჯვარიშეიშვილისაგან .	6	—
24	როსებ თ. ამირაჯიბი	6	—
25	მიხეილ ქაიხ. ბაქრაძე.	6	—
26	ვასილ თუმანიშვილი.	6	—
27	ალექსანდრე თუმანიშვილი . . .	6	—
28	სოფიო თუმანიშვილი	6	—
29	გიორგი ჭოლოშვილი	6	—
30	ნოე მხეიძე	6	—
		54	—
	სულ 1904 წელს	179	—

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკის სადიპლომატო ნაწილის მოხელის დეპეშა, გამოგზავნილი 3 მარტს 1904წ. პორტ-არტურიდან: „სიცრუეა ინგლისურისა და ინგლისურ-ჩინურ გაზეთების ცნობა, ვითომ პორტ-არტური იაპონელებს აეღოთ, ქალაქს ცეცხლი ეკიდოს, მცხოვრებნი გარბოდნენ და სხვა. ხუთი კაცი მოკლულ იქმნა და რამდენიმე სახლი დაზიანდა; ამის მეტი 26 თებერვლის იერიშს სხვა არავითარი შედეგი არ მოჰყოლია“

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). ჩემულპოდან მოსული ამერიკის კრეისერი „ცინცინატი“ იტყობინება, რომ იქ მშვიდობიანობაა. კრეისერზე იყო ორი კორეის მოხელე, რომელნიც იძულებულნი ყოფილან გახიზნულიყვნენ სამშობლოდან რუსეთისადმი თანაგრძნობისათვის.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). საზღვაო სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ რუსეთის შვიდმა გემმა გაიარა ლაზარევის ნავთ-სადგურის მახლობლად. ეს ნავთსადგური გენზანის ჩრდილოეთით მდებარეობს.

გენუა. პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფმა განაცხადა, სახელმწიფოთა სასახლეებში მისვლამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ რუსეთისა და იაპონიის ომში არავინ ჩაერევაო.

5 მარტი.

პორტ-არტური (საკ. კორესპონ.). მტერი არა სჩანს. ხმელეთზე მყოფ ჯარის შესახებაც არაფერი ისმის. ამბობენ, ჩინეთის ჯარი კარგად იქცევა და მხოლოდ აფიცრები სრულად არ აძლევენ ფულს მცხოვრებთ საქონელში, რის გამო მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან.

პარიზი. საქმის მცოდნე წრეებში ნაადრევად მიაჩნიათ ის ამბავი, ვითომ ამ ცოტა ხანში ხელი უნდა მოაწერონ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას.

პარიზი. პარიზის გაზეთს „მატენ“-ს ნამდვილის წყაროდან გაუგია, ვითომ იაპონიის პირველმა არმიამ, 70 ათას კაცისაგან შემდგარმა, დაიჭირა ჩრდილოეთ კორეია, მეორე არმია, 70 ათას კაცისაგანვე შემდგარი, გადავიდა ნაპირზე გენზანში, ხოლო მესამე არმიის მობილიზაცია დაიწყო 23 იანვარს.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. სააგ.“). ნავთსადგური განთავისუფლდა ყინულისაგან 12-დან 17 მარტამდე. სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ ახლო მომავალში განზრახული იყოს ნიუ-ჩუანზე თავდასხმა. ვაჭრობა ჩვეულებრივ სწარმოებს. სამოქალაქო მოხელენი ბევრს სცდილობენ როგორც ჩინეთის, ისე სხვა სახელმწიფოთა სავაჭრო ინტერესების დასაცველად. არაფრით არა სჩანს, რომ განსაცდელი მოსალოდნელი იყოს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

5 მარტი

ბერლინი. იაპონიის საზღვაო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ლაზარევის ნავთსადგურთან რუსეთის შვიდი გემი შეამჩნიესო.

პარიზი. საფრანგეთისა და ინგლისის მოლაპარაკებას შეთანხმება მოჰყვა იმ საკითხებში, რომელიც შეეხება ამ სახელმწიფოთა სხვა-და-სხვა სამფლობელოებში გავლენის განსაზღვრას. ინგლისმა სცნო, რომ საფრანგეთს უპირატესობა ეკუთვნის მაროკოში; ამის სანაცვლოდ საფრანგეთმა ხელი უნდა აიღოს ნიუფაუნდლენდზე და ეგვიპტეში დახმარება გაუწიოს ინგლისს. პარიზის პოლიტიკური წრეები ჰფიქრობენ, რომ ინგლისთან დაახლოვებას საფრანგეთთან გავლენა ექნება რუსეთ-იაპონიის ომზეო.

სეული. ოთხშაბათს განსაკუთრებულის ვაგონით ჩემულპოდან აქ მოვიდა კორეელი და იაპონელ წარჩინებულთა ამალის თანხლებით იტო. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდის ალტაცებით მიეგებნენ, რის შემდეგაც იტო გაემგზავრა საგანგებოდ იმისთვის მომზადებულ სადგომში. ღამ-ღამობით საპყრობილეში დამნაშავეებს სიკვდილით სჯიან. უკანასკნელ სამის დღის განმავლობაში თავი მოსჭრეს და ჩამოახრჩეს 40 კაცი—პოლიტიკური დამნაშავენი, ყაჩაღები და მექრთამეები.

ზაგრები. როგორც „ცენტრ. ნიუს“-ი იუწყება, რუსეთის გამარჯვებისათვის დანიშნულ პარაკლისის აკრძალვამ გამოიწვია რუსოფილთა მანიფესტაციები ხორვატთა და სერბთა შორის. იუდოფილების და იაპონოფილების გაზეთების რედაქციებსა, აგრეთვე 30 სერბოფოდს ბრბომ შეურაცხოფა მიაყენა.

პეტროპავლოვსკი. დღეს დილით მოვიდა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი

სეული. 4 მარტი. („რეიტ. სააგ.“). მოვიდა მარკიზ იტო. მთავრობა დიდის ამბით შეეგება. დაუყოვნებლივ სატახტო ქალაქში მოსვლის შემდეგ მარკიზ იტო მიიღო კორეის იმპერატორმა.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია ბრძანება საზღვაო უწყებისადმი: „ვხელმძღვანელობთ რა უმაღლესად დამტკიცებულ დებულებით საზღვაო სამხედრო დავლის სასამართლოს შესახებ, გიბრძანებთ, დააარსოთ სამხედრო დავლის სასამართლოები სევასტოპოლსა, იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ის ნავთ-სადგურსა, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკში.“

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

5 მარტი

ლონდონი. აქაურ გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობა, ვითომ რუსეთის უკანასკნელი რაზმები იალუს მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ, მართალი არ უნდა იყოს.

შანჰაიდან იტყობინებიან, პიონიანის მახლობლად რუსებმა დაამარცხეს ორას კაცისაგან შემდგარი იაპონიის რაზმი.

მოელიან იაპონელების თავდასხმას პორტ-არტურზე. 5.000 იაპონელი დაგუშანში გადავიდა. რუსებისა და იაპონელების მოწინავე ჯარება ეხლა მხოლოდ მდინარე ჩიონგ-ჩიონგი ჰყოფს. ანჩუს ჩრდილოეთით ბრძოლა მოხდა.

სეულიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ კორეის გენერლები იჩონკეუნი და ხირსანკეუჟი გაქცეულან ჩიფუს ან შანჰაის ამერიკას გემ „მაიორიორ“-ზე.—იამაგუჩის გენერლობა ებოძა და დაინიშნა სამხედრო მოთაოთბირედ. იაპონიის ფლოტი სარგებლობს ლონდონში ახლად მიგონილის სიგნალიზაციის სისტემით, რომლით ღამე და ქარბუქში ხმით აძლევენ ნიშნებს, რაც გემებს შეძლებას აძლევს წესიერ მიმოსვლისას; ეს სიგნალიზაციის სისტემა იაპონელებმა პირველად სცადეს პორტ-არტურთან.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ კორეიელების სიძულვილი იაპონელებისადმი თან-და-თან ძლიერდება, უფრო იმიტომ, რომ იაპონელებს მიჰყავთ იმათი ცხენები და მიაქვთ სურსათი, და ფულს-კი არ იძლევიან; თვითონ იაპონელები ამბობენ, ყველაფერში ფულს ვაძლევთო, მაგრამ ნამდვილი ამბის გაგება შეუძლებელია, რადგან კორეიის მოხელენი მოსყიდულნი არიან.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა ტოკიოში, გარეშე საქმეთა სამინისტროს შონდობილობით იაპონიის მთავრობას პროტესტი გამოუცხადა თამბაქოს მონოპოლიის დაწესების გამო, რადგან ეს ამერიკის მრეწველობას დიდს ზარალს მისცემსო; იაპონიის მთავრობა თანახმა გახდა, ზარალი უზღოს მეფაბრიკეებს, მაგრამ ამერიკის ელჩი ამას არ სჯერდება და თხოულობს მრეწველთა დაჯილდოვებასაც.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. რუსულ გაზეთებისა, სააგენტოებისა და ოფიციალურ ცნობების თანახმად, 26 თებერვალს პორტ-არტურთან იაპონელებმა შემდეგი ზარალი მისცეს რუსებს:

დაღუპულ რუსის ნაღმიან გემ „სტერეგუშჩი“-ზე სულ 52 მეზღვაური ყოფილა. ეს მეზღვაურები ზოგი დაიღუპა, ზოგიც იაპონელებმა დაატყვევეს. სხვა ნაღმიან გემებზე 260 კაციდან 24 კაცი დასჭრეს, ან მოჰკლეს, „რეტვიზანზე“ 5 მეზღვაური მოჰკლეს, სხვა დიდ გემებზე—1 მეზღვაური, ბატარეიებზე—6 კაცი დასჭრეს, ქალაქშიაც, 4 კაცი მოჰკლეს და 3 დასჭრეს. ასე რომ 26 თებერვალს იაპონელებმა სულ 95 რუსი მოჰკლეს, დასჭრეს და დაატყვევეს. ამას გარდა იაპონელებმა პორტ-არტურში ჯარის კაზარმები და რამდენიმე კერძო სახლი დააზიანეს. („რ. ვ.“).

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ი ამტკიცებს, რუსის ნაღმიანი გემები ეხლა ღამ-ღამე ნავთ-სადგურიდან გადიან და იაპონიის ესკადრას ჰზვერავენო. („რ. ს.“).

„ნოვი კრაი“-ს (პორტ-არტურში გამოდის) მე 28 №-ში 6 თებერვალს პორტ-არტურის ციხის კომენდანტის ბრძანებაა დაბეჭდილი. ბძანებაში ნათქვამია:

„გავიგე, რომ სამხედრო კლუბში ბ. ბ. აფიცრები ომის ამბებზე აბდა-უბდად სჯიან და სადღაც გაგონილ აჩირებულ, უაზრო ცნობებს ავრცელებენ. რა აფიცრის საქმეა ასეთი ლაპარაკი. აფიცრის საქმეა—კარგად მოიფიქროს და მოისაზროს, რომ მიღებული ბრძანება, რაც შეიძლება, უკეთესად შეასრულოს და არა ის, რომ უმაღლეს უფროსების მოქმედება დაჰგმოს. ასეთ ვაჟბატონებს მეტად დიდი ვნება მოაქვთ, და მეც, რაღა თქმა უნდა, სასტიკად დავსჯი ჩემის უფლების ძალით. პორტ-არტურის ციხის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი სტესელი“. („რ. ვ.“).

კრონშტადტიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-ს: ბძანება გასცეს, რომ ყველა სამხედრო გემი, რომელიც ამ ზაფხულს ზღვაში უნდა გავიდეს, ეხლავე შეიარაღების თადარიგს შეუდგესო.

15 თებერვლამდე იაპონელებს სულ 13 რუსის სავაჭრო გემი დაუჭერიათ; ამათში 3 იალქნიანია, 10 ორთქლით მავალი („ბ. ვ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ს სეულიდან ატყობინებენ: ჩაძირულ „ვარიაგ“-ის ამოსაღებად იაპონიის მთავრობამ ნახევარ მილიონი იენა (1 იენა=97 კაპ.) გადასდო. იაპონელ ინჟენრებს იმედი აქვთ, ჩაძირულ რუსის კრეისერს სამს თვეზე ამოვიღებთ და შევაკეთებთო („პ. გ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: კორეაში გადასული სამი დივიზია იაპონიის პირველ არმიას შეადგენს. ამ არმიის უფროსად გენერალი კუროკი დანიშნეს. ი-ჩჟუ (მდინარე იალუს შესართავთან) იწვის („რ. ვ.“).

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ პეკინიდან: იაპონელები დალუნგოუში გადავიდნენ და კინ-ენ-ჩაუმდე და ანტუნამდე ავიდნესო („ნ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს ატყობინებენ სეულიდან: იაპონელი გენერალი ნოგაში თავის ჯარს პინიანს ახლო უყრის თავსაო. („მ. ვ.“).

ომამდე რუსის მანეთი პეკინში 1 დოლარადა და 5 ცენტად გადიოდა, ომის გამოცხადების შემდეგ-კი 3 თებერვალს 99 ცენტად გადიოდა. („რ. ვ.“).

ამას წინად ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთმა ამერიკის სამხედრო აგენტებს ნება არ მისცა რუსის მებრძოლ ჯარს გაჰყოლოდნენო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა, რუსეთს მიუცია ნებართვა და 4 ამერიკელი აფიცერი კიდევაც წასულა რუსეთის ჯარის უმთავრეს ბინაზე. („რ. ვ.“).

ერთს პორტ-არტურიდან დაბრუნებულ რუსის ქალს შემდეგი უამბნია „პეტ. ლისტოკ“-ის თანამშრომლისათვის: „27 იანვარს იაპონელებმა პორტ-არტურს ყუმბარა დაუშინეს. მოსამსახურეები—სულ ჩინელები იყვნენ—ყველანი გაიქცნენ. საღამოს 6 საათზე პორტ-არტურიდან გამოველ რკინის-გზით. ვაგონები სულ ქალებითა და ბავშვებით იყო გაჭედილი. გზაში იმავე ვაგონებში დალნიდან წამოსული ქალები და ბავშვებიც ჩასხდნენ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ამბები ხდებოდა, ბაგაჟისათვის გამართულ აბგებშიაც კი ბავშვები ისხდნენ! მებუფეტეები სადგურებზე მიმასისხლად ჰყიდნენ ყველაფერს; ნამდვილად ტყავს აძრობდნენ მგზავრებს. ერთი პატარა ნაჭერი პური ავიღე და ვკითხე, რა ღირს, მეთქი? მებუფეტემ მიპასუხა: 1 მანეთიო. პორტმანე რომ გავხსენ ფულის ამოსაღებად, მებუფეტემ უსირცხვილოდ მითხრა: უკაცრავად, შევცდი, 2 მანეთი ჰღირს და არა 1 მანეთიო.

იაპონელ აფიცრების მოხერხება. გერმანული გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: ერთმა ინგლისელმა ვაჭარმა ვლადივოსტოკში იაპონელი დაიქირავა ნოქრად. ეხლანდელ ომის წინ იაპონელმა გამოუცხადა ვაჭარს, სამშობლოში უნდა დავბრუნდეო. ინგლისელს ძლიერ მოსწონდა თავისი მოხერხებული და მარდი ნოქარი. ამიტომ ბეჯითად ურჩია, დარჩი, ჯამაგირს ერთი-სამად მოგიმატებო, მაგრამ იაპონელმა არა ჰქმნა და ტოკიოში წავიდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ინგლისელიც რაღაც საქმეზე ტოკიოს წავიდა და ქუჩაში თავის ნოქარს შეჰხვდა: მეზღვაურ აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი მიდიოდა სადღაც („ნ. ვ.“).

„პეტერბურგსკი ლისტოკ“-ში ერთი პორტ-არტურიდან დაბრუნებული ინჟენერის ცოლი სწერს: „მზარეულად ერთი იაპონელი მყვანდა. საჭმელს მეტად კარგადა და სუფთად ამზადებდა. ამას გარდა მეტის-მეტად პატიოსანი იყო და ანგარიშს კარგად მისწორებდა. ღამე სხვაგან მიდიოდა. რაკი საუზმესა და სადილს მოამზადებდა, ევროპიულ ტანისამოსს ჩაიცვამდა, მშვენიერ პალტოს წამოისხამდა და გათენებამდე, ვინ იცის, სად მიდიოდა. მეტად ძვირ სიგარებს ეწევოდა. 23 იანვარს მზარეულმა გამოაცხადა, შინ მივდივარო. ბევრი ვსთხოვეთ, დარჩი, ტყუილად გეშინიან ომისა, მაგრამ ვერას გავხდით. 25 იანვარს მზარეული წავიდა.“

პორტ-არტურში პარიკმახერად სულ იაპონელები იყვნენ; ფრანგს ეტიენს ჰქონდა ერთი საპარიკ-მახერო, მაგრამ ისიც იაპონელებმა იყიდეს. ამ პარიკ-მახერებთან ყველა ჯურის აფიცრები ჰხვდებოდნენ ერთმანეთს და ფრანგულად ყველაფერზე თავისუფლად ლაპარაკობდნენ. ეგონათ, რომ იაპონელებმა მარტო ინგლისური ენა იციანო. მართლაც პორტ-არტურში მცხოვრებმა იაპონელებმა კარგად იციან ინგლისური. ჩვენი მზარეულიც ლამაზად ლაპარაკობდა ინგლისურს. ეხლა ჰფიქრობენ, იქნება ეს პარიკმახერები სულ იაპონელი აფიცრები იყვნენო.

ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისური გაზეთები „დეილი ნიუს“-ი, „სპეკტატორ“-ი, „დეილი ქრონიკლ“-ი და სხვანი დიდის ყურადღებით ეკიდებიან ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას. „დეილი ქრონიკლ“-ი სწერს: ჩვენმა მოკავშირე იაპონიამ ზღვაში გაიმარჯვა და ინგლისის შველა აღარ სჭირდება. რუსეთი კი ისეთ გაჭირვებაშია, რომ იქნება საფრანგეთს დახმარება სთხოვოს. „სპეკტატორ“-ი სწერს: იქნება რუსეთმა გერმანიასაც კი სთხოვოს შველა. თუ საქმე ასე წავა, მაშინ ინგლისიც მოვალე იქნება იაპონიას მიეშველოს და რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას წინააღმდეგობა გაუწიოს. მაგრამ ინგლისი ძლიერ უნდა ეცადოს, რომ სამ სახელმწიფოსთან ომი თავიდან აიცილოს. ამისთვის უნდა ვეცადნეთ, საფრანგეთი როგორმე რუსეთს მოვაშოროთ და ჩვენ თითონ დავიახლოვოთ. ინგლისი რომ საფრანგეთს ხანგრძლივის, მკვიდრის, სასარგებლო კავშირით შეეკრას, მაშინ საფრანგეთიც არად ჩააგდებს რუსეთთან კავშირს და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში აღარ გაერევა. ინგლისისა და საფრანგეთის კავშირი მთელს ევროპასაც დიდს სარგებლობას მოუტანს. („პ. ვ.“).

დეპეშებიდანაც სჩანს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი ძლიერ ცდილობენ ერთმანეთთან შეთანხმებასა და დაახლოვებას.

გერმანია. „რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „იმპერატორი ვილჰელმი, ალბად, ერთ თვემდე დაჰყოფს საზღვარ-გარედ. გერმანული პრესსა ჰფიქრობს, იმპერატორის ხანგრძლივი მოგზაურობა იმის მომასწავებელია, რომ დიდი სახელმწიფოები, მოკლე ხანში მაინც, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში არ გაერევიანო.

ახალი ამბავი

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 6 მარტს, მოხდება **ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.** კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, აარჩიოს გამგეობის სამი წევრი და სარევიზიო კომისია. კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში.

◆ ხვალ, დილის 10 საათზე, დანიშნულია **სასოფლო-სამეურნეო ბანკის** წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1903 წლის მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, ბანკის საბჭო გამგეობისა და განსაკუთრებულის კომისიის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ გაძლიერდეს სესხის გაცემა სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გირაოთი, 1904 წლი ხარჯთ-აღრიცხვა და არჩევანი: გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად თავ. ვ. ს. მიქელაძისა, საბჭოს ორის წევრისა ნაცვლად ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილისა, რომელთაც ვადა უთავდებათ.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** ამ თვის ცხრაში მიემგზავრება სამრევლო სკოლებისა და ეკკლესიების სარევიზიოდ შემდეგ სოფლებში: სართიჭალას, პატარძეულს, ნინოწმინდას, საგარეჯოს, თოხლიაურს, მანავს, კაკაბეთს, მალხაზოვკას, ნიკოპავლოვკას, ხაშმს, უჯარმას, მუხროვანს, ახალსოფელს, დიდ-ლილოსა, ოლგინსკისა და მამკოდს.

◆ ერთს წრეს კაპიტალისტებისას გადაუწყვეტია, შორაპნის მაზრაში ჭიათურასა და დარკვეთის სადგურებთან **შავი-ქვის მადნებიდან** მიმოსვლის გასაადვილებლად და ქვის გადასატანად გაიყვანონ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის შტოები. კაპიტალისტებს უკვე შეუდგენიათ და კიდეც წარუდგენიათ ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობისათვის სატეხნიკო პროექტი და უთხოვნიათ შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე.

◆ გადასახადთა გამწერმა საგუბერნიო საკრებულომ უკვე **გააწერა სახელმწიფო საიჯარო და საადგილ-მამულო გადასახადი** ტფილისის გუბერნიის მაზრებს. როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, გორის მაზრაზე გაწერილია: საიჯარო გადასახადი—20,150 მან., საადგილ-მამულო—24,575 მ., ახალციხის მაზრაზე: საიჯარო—23,530 მ., საადგილ-მამულო—7,272 მ., ახალქალაქის მაზრაზე: საიჯარო—40,126 მ., საადგილ-მამულო—4,460 მ., თიონეთის მაზრაზე: საიჯარო—12,660 მ., საადგილ-მამულო 1932 მ., სიღნაღის მაზრაზე: საიჯარო 125,560 მ., საადგილ-მამულო—7,14 მან., დუშეთის მაზრაზე: საიჯარო—14,665 მან., საადგილ-მამულო—4,085 მ., ზაქათალის ოლქზე: საიჯარო—111,500 მ., საადგილ-მამულო—3,308 მ.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებულმა მეღვინეობა-მევენახობის კომიტეტმა განიხილა **კანონი ღვინის შესახებაო.** ეს ამბავი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დეპე-

ფელეტონი

ჩვენი ხალხი და ქართულ პრესსის მოვალეობა

ხალხის მოთხოვნილებანი და პრესსის გარკვეულობა.

ერთი წინანდელი წერილი („ცნ. ფურც.“ 2353) ჩვენ შემდეგი სიტყვებით გვქონდა დასრულებული: „ჩვენი ხალხის დიდძალი უმრავლესობა მცირე შეძლებისა და ქონების პატრონია. წვრილი მეურნე-გლეხი, სრულიად ცარიელი ან მცირე მამულიანი აზნაურობა, წვრილი ვაჭარი და მრეწველ-ხელოსანი, მუშა და ნოქარი, შინა მოსამსახურე და მცირე თანამდებობის მოხელე,—აი ის ელემენტები, რომელნიც ქართველ ხალხის უმრავლესობას წარმოადგენენ და თავისი განუწყვეტელი შრომითა და მომჭირნეობით მის კულტურულ ძალას და ეროვნულ სიმაგრეს შეადგენენ“.

ეს სიტყვები, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ ჩვენ მარტო ქართველ ხალხის თვალსაჩინო მხარედ და დამახასიათებელ ნიშნად მიგვაჩნდეს უმრავლესობის სიღარიბე და ხელ-მოკლეობა. ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ერი, რომლის უმრავლესობასაც მხოლოდ მდიდრები და ნივთიერად შეძლებულნი შეადგენდნენ. ასეთი მოვლენა არ სცოდნია ისტორიას ძველად და არ იცის დღესაც. ნივთიერი ქონება და სიმდიდრე ყველა ხალხებში უმცირესობის ხელშია მოგროვებული და უმრავლესობა არის შედარებით ღარიბი და ქონებას მოკლებული. და ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა განსხვავდება განვითარებულ და დაწინაურებულ ერებისაგან არა იმით, რომ ქართველთა უმრავლესობა „მცირე შეძლების პატრონია“, არამედ ამ მეორე გარემოებით,—რომ ქართველობაში არ არის ჯერ გაზრდილი და გაძლიერებული კლასი კაპიტალისტთა, მსხვილი ბურჟუაზია, რომელსაც ჰქონდეს ხელში მოგროვილი ეროვნულ შრომის ნაყოფი, ნივთიერი სიმდიდრე და საზოგადოებრივი ძალა და გავლენა. საზოგადოდ ვაჭრობა და მრეწველობა ჩვენში სუსტი და განუვითარებელია და ისიც, რაც არის, უფრო უცხო და მოსულ ტომის ხალხის ხელშია.

ამ გარემოებას ძალა-უნებურად გავლენა აქვს ქართულ პრესსის ელ-ფერსა და მიმართულებაზედაც. ცხადია, არ შეიძლება იმ ხალხის მომხრეობა და ქომაგობა, იმ ჯგუფის ინტერესების დასაცველად და განსახორციელებლად მოქმედება, რომელიც ეკონომიურ განვითარებას არ წარმოუშვია და ცხოვრებას არ გაუღონიერებია. ამიტომ როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რომელიც შეადგენს ამ კლასის სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრებას, ისე ამ მოძღვრების გამომხატველი პრესსა მოკლებულია ჩვენში ჯერ-ჯერობით მკითხველთა მკიდრო წრეს და საარსებო რეალურ ნიადაგს. ჩვენში არაა ფულის (ბურჟუაზიული) არისტოკრატია და ამიტომ ბაზარს მოკლებულია მისი შესაფერი პრესსა და იდეოლოგია.

მაგრამ ეგევე არ ითქმის სავსებით ჩამომავლობით არისტოკრატიაზეაც. ქართველ თავად-აზნაურობას დღესაც, მიუხედავად მამულების დაკნინებისა და დავალიანებისა, შედარებით დიდი ნივთიერი ძალა და საზოგადოებრივი გავლენა აქვს. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში დღემდის დაცულნი არიან ისეთი მემამულეები, რომელნიც თავისი ქონებითა და ხალხთან განწყობილებით ნამდვილ საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებენ. და როცა ამ საზოგადოებრივ კლასის არსებითობას ვარკვევთ და მის თვისებურობას ვიგებთ, მხედველობაში უნდა გვყავდეს მარტო ეს ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც წარმოადგენს ძველი დროის ფეოდალობას როგორც თავისი როლით საეკონომიო ურთიერთობაში, ისე აზრ-შეხედულებითა და მისწრაფებით გონებრივ შემეცნებისა და იდეების სფეროში. „გახუნებული აზნაური“, რომელიც დღეს ასე ხშირი მოვლენა გახდა ჩვენში, თავის ეკონომიური მდგომარეობით ისევე არ არის აზნაური, როგორც გლეხი—მემამულე და სელოსანი—კაპიტალისტი.

თითქოს იქ, სადაც არსებობს განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასი, რომელსაც აქვს დიდი ხნის ტრადიცია, ისტორიული წარსული და გონებრივი მომზადება, შესაძლებელი უნდა იყოს ამ კლასის საპარტიო პრესსის შექმნა და აღორძინება. ასეა ეს ევროპის ყველა ქვეყნებში, სადაც თითოეულ წოდებას თუ კლასს თავის წარმომადგენელი პრესსა და იდეოლოგები ჰყავს. მაგრამ ჩვენში არის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ხელს არ უწყობენ ვიწრო თავად-აზნაურულ—წოდებრივ მიმართულების პრესსის შექმნას და ამ სახით კონსერვატიულ აზრ-შეხედულების გავრცელებას. წინა წერილში, რომელშიაც აგრარიულსა (თავად-აზნაურობა) და გონებრივს (ინტელიგენცია) არისტოკრატიაზე ვწერდით, ჩვენ გავარკვიეთ და დავასაბუთეთ, თუ რა ჰხდის ასეთ დაწყებულებას უნიადაგოდ და მოუხერხებლად. ეს არის—არისტოკრატიის რიცხვითი სიმცირე, მათში ქართული ენის სუსტი ცოდნა და ეროვნულ პრესსა-მწერლობისაგან დაშორება.

ამნაირად ჩვენ აქამდის სხვა-და-სხვა მხრით შევხედეთ საგანს, გავსინჯეთ უმთავრესი გარემოებანი, რომელთაგან ზოგი ნაყოფია პოლიტიკური მდგომარეობისა და ზოგიც შედეგი ეკონომიურ განწყობილებისა, და იმ დასკვნამდის მივედით, რომ არც ბურჟუაზიული, არც აგრარიული და არც გონებრივი არისტოკრატია ქართულ პრესსისათვის არ შეიცავს ნაყოფიერ და საიმედო ნიადაგს. ქართული პრესსა ვერც ერთგვარ არისტოკრატიაში ვერ ჰპოვებს არსებობის წყაროს, ზნეობრივ ძალას და საზოგადოებრივ გავლენას. მისი ერთად-ერთი გზა დაბლა მშრომელ ხალხისაკენაა, რომელიც თავისი სიმრავლით, შრომა-გარჯით და მოქმედებით ბურჯია ქართველ ეროვნებისა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიტყვას „მშრომელი ხალხი“ აკლია განსაზღვრულობა. ყველა, ვინც მშრომელია, არ ეკუთვნის ერთ კლასს და წოდებას და მათ შორის არ არსებობს ყოველ მხრით ინტერესთა თანხმობა და სოლიდარობა. მშრომელია, მაგალითად, გლეხი, მუშა და მეწვრიმალეც; მიუხედავად ამისა, მომხმარებელ ამხანაგობის დაარსება გლეხებისაგან ზარალს აძლევს წვრილ ვაჭრებს; ფასების აწევა სამეურნეო ნაწარმოებზე ვნებს მუშების ინტერესებს. მაგრამ ეს ინტერესთა განხეთქილება ისეთ ხალხში, რომელიც უმთავრესად წვრილ მესაკუთრეებისაგან შესდგება, ისე ღრმა და გაუვალი არაა, რომ პრესსას არ შეეძლოს საერთოდ მათი წარმომადგენლობა და გონებრივი წინამძღო-

ო აცნობა პეტერბურგში მყოფმა წარმო- გენელმა. სხვათა შორის, მოხსენებული , რომ კომიტეტმა საჭიროდ სცნო მე- ნეთა კრებების გამართვა იმ გუბერნიებ- , სადაც საერობო დაწესებულებებიაო. ო წარმომადგენელი დეპეშითვე ატყობი- ს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ამ ტელეგრაფმა დაამახინჯა ჩემ მიერ გად- ცემული ცნობა. კომიტეტს საჭიროდ ვნია მეურნეთა კრებების გამართვა სა- ობო გუბერნიებში-კი არა, იქ, სადაც ერო- ბი არ არისო.

◆ გუშინ, 5 მარტს, ბაქოდან ტფილის- ჩამოვიდა **ფოსტა ტელეგრაფის მთავარი სპექტორი** ბ-ნი ლეი.

◆ საფოსტო-სატელეგრაფო მთავარ-გამ- ობის განკარგულებით, ორ აპრილიდან ა წლისა ავსტრიასა, ჰუნგრეთსა, გერმა- ასა და შვეიცარიაში **ფულის გზავნა** წე- ლითაც შეიძლება და ფოსტის ბლანკითაც. ელეგრაფით კი ფულის გაგზავნა მოუხერ- ბლად უცვნია. ჯერ-ჯერობით ბლანკით საგზავნ ფულის რაოდენობაც განსაზღვრუ- ია.

◆ ნიხრის გამწესებელ კომისიის ცნობე- თ, ქალაქში საკლავი საქონელი **შედარე- თ გაძვირებულა.** ამის გამო კომისიას შინ სხდომა ჰქონდა ნიხრის შესაცვლე- ად, კომისიამ გაიცნო ამ საქმის შესახებ კრებილი მასალა და დაადგინა ამნაირი ხრი: 1 ხარისხის ხორცი 11 კაპ., ნაცვ- ად 10 კაპ., მეორე ხარისხისა—8 კაპ., ცვლად 9 კაპ. და მესამე ხარისხისა 7 კ., ცვლად 6 კაპ.

ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომი- ს თავმჯდომარემ აცნობა ქალაქის მოუ- ვს, მცხოვრებთა შორის საყვედურია იმის ო, რომ ბევრი **ყასაბი არ ასრულებს** გეობის დადგენილებას ხარისხებად დაყო- სა და ნიხრზე ხორცის ყიდვის შესახებ. მცა ასეთ შემთხვევების შესახებ ცნობე- კომისიას უნდა მიაწოდოს სავაჭრო სა- ურნეო პოლიციის ზედამხედველმა, მაგრამ თარი მიდის და ჯერ ერთი ცნობაც არ ლია იმის შესახებ, თუ ვინ არღვევს ქალაქის დგენილებასაო. კომისიის თავმჯდომარე ხოვს მოურავს, წინადადება მისცეს სამე- ნეო პოლიციის აგენტებს ცნობები დრო- მიაწოდონ ხოლმე კომისიას, და აგრე- ე მოსთხოვოს, რატომ აგენტებმა აქამდე ადღება არ მიაქციეს ამ საქმეს.

◆ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველო- შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესად ა-დართულ იქმნა, ლაბორატორნი ქუჩას ილისში ეწოდოს ამიერიდან **პეტრე დი- ის ქუჩა.**

◆ დღეს, 6 მარტს, სახალხო კითხვების სადგომში ექიმი მაღალაშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავს **სახალხო ლექციას მალიარიის შესახებ.** ლექცია დაიწყება საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე.

◆ **ყარაიაზი:** 4 მარტს, დილის 8 საათსა და 45 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 408 სადგურში უნდა შემოსულიყო, ლიანდაგს გადასცდა. **ორი ორთქლ**მავალი და შვიდი ცარიელი ვაგონი ძალიან დაზიანდნენ. ამავე მატარებელს ება მომხმარებელ საზოგადოების სავაჭრო ვაგონი, სადაც იყვნენ ნოქრები ქარაძე და მელიტაური. ორივენი დაშავდნენ. რკინის გზის უფროსის განკარგულებით განსაკუთრებული კომისია გაიგზავნა ამ ამბის გამოსაკვლევად.

◆ გუშინ, 5 მარტს, ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვიდან საიმპერატორო თეატრის არტისტი ბ-ნი დონსკოი, რომელსაც აზრად აქვს მომავალ სეზონისთვის **ტფილისის სახაზინო თეატრი** იჯარით აიღოს.

◆ კვირას, 14 მარტისთვის, ტფილისის საბჭოს დარბაზში **დანიშნულია წლიური კრება** ცეცხლისაგან ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წასულ წლის მოქმედების ანგარიში, მოხსენება იმის შესახებ, თუ რომელ საკრედიტო დაწესებულებაში მოათავსონ საზოგადოების თავისუფალი თანხები. ამას გარდა მოხდება არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა, გამგეობის წევრის ერთის კანდიდატისა, ზედამხედველ კომიტეტის წევრის ერთის კანდიდატისა, სარევიზიო კომისიის ორის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა.

◆ ამ დღეებში ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ **წარუდგინა გუბერნატორს** თხოვნები მოქალაქეთა მამასახლისის ბუდღანოვისა და გადასახადთა მამასახლისის ხოსროევისა, რომელნიც თხოულობენ, ავადმყოფობისა გამო გაგვანთავისუფლეთ სამსახურიდანაო.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას, გაუგზავნოს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორის წესით სრულდება ხელშეკრულებანი ქალაქსა და კერძო პირთა შორის, როცა ქალაქი სამოსახლოებისათვის იჯარით აძლევს მსურველებს ქალაქის მიწებს.

◆ დღეს, 6 მარტს, სხდომა ექნება ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს შიოევის სახელობაზე სტიპენდიების დანიშვნის საქმე, მოხსენება ქერიმოვისა ხარფუხის სკოლის შენობის შესახებ და სხვა საქმეები.

◆ ქუშინ, 5 მარტს, ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისის მოურავს, გაუგზავნოს ერთი ცალი იმ ინსტრუქციისა, რომლითაც ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტები ხელმძღვანელობენ დასაფასებელ გადასახადების მოკრების დროს.

◆ „ტფილისის კრუჟოკის“ სადგომი დაუთვალიერებიათ ამ რამდენისამე დღის წინად საგუბერნიო სამშენებლო განყოფილების ტეხნიკოსებს და აღმოუჩენიათ ბევრი ნაკლულევანება; მაგ. კიბე აღარ ვარგა თურმე, სათეატრო სცენა სრულებით არ არის უზრუნველყოფილი ცეცხლის გაჩენისაგან და სხვ. გუბერნატორის წინადადებით კრუჟოკის მამასახლისთა საბჭომ ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა, 6 კვირის განმავლობაში შეაკეთებინოს კრუჟოკი, თანახმად ტეხნიკოსების შენიშვნებისა.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ტეხნიკოსის რ. ასატუროვის სახლიდან 2 მარტს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველს, გაუტეხია სახლი, და გაუტანია ფულად 600 მან.

ჭლექი და იმის წინააღმდეგ ბრძოლა

(დასასრული *)

გამოფენაზე ყველაზე საინტერესო განყოფილება ის არის, სადაც კარტოგრამებითა, დიოგრამებითა და ცხრილებით ნაჩვენებია, თუ სად და რაგვარ საშუალებას ხმარობენ ჭლექის მოსასპობად და რამდენად მიაღწიეს მიზანს ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებებმა. ცხადზედ უცხადესია, რომ, როგორც საზოგადოდ ყოველის ავადმყოფობისა, აგრეთვე ჭლექის მოსპობაც მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სრულიად განადგურდება და შეიცვლება ის სოციალური და სანიტარული პირობები, რომელნიც ჰბადვენ ამ ავადმყოფობას; ამიტომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებები, რომელთაც ჰსურთ ეს ავადმყოფობა მოსპონ, უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ჯერ ჭლექის გამავრცელებელ-გამჩენ პირობების მოსპობას და შემდეგ ჭლექიან ავადმყოფთა მორჩენას. როგორც ექიმ ბლიუმენტალის გამოფენიდანა სჩანს, ამ ორივეს— ჭლექის გამჩენ პირობების მოსპობასა და ჭლექიანების მორჩენას—დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები და ათასგვარი საზოგადოებანი უდიდეს ყურადღებას აქცევენ. პირველის მხრით, ე. ი. ჭლექის გამჩენ პირობების მოსპობით ინგლისს ძალიან ბევრი გაუკეთებია და შედეგიც მეტად ნაყოფიერი ყოფილა. აი, მაგალითად: 1856—1860 წლამდე ინგლისში 1000 ავადმყოფზე ჭლექით ავადმყოფი ითვლებოდა 27,7, 1896—1899 წ. კი ამ რიცხვს 13,3 დაუწევია, ე. ი. სწორედ ერთი ორად უკლია. დიდათ საინტერესოა ის ზომები, რომელნიც უხმარია ინგლისს ჭლექის მოსასპობად. საინტერესოა იმიტომ, რომ ეს ზომები პალიატივური და დროებითი კი არ არის, არამედ ძირითადი და რადიკალურია, რომელნიც ძირიან-ფესვიანად სთხრიან ჭლექს. მოკლედ რომ ვსთქვათ, ინგლისში, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, მოსპეს და დაანგრიეს ჭლექის ბუდე. ინგლისმა ამ სენთან საბრძოლველად გამოსცა მთელი სერია სასანიტარო კანონებისა და ქალაქებში სანიტარულის მხრით ცხოვრება გაცილებით გააუმჯობესა. ქალაქების მმართველნი არ ზოგავდნენ არავითარ ხარჯს და ქალაქის ღარიბ ღატაკთათვის სადგომებს აშენებდნენ და სანიტარულის მხრით უვარგის ქუჩებსა, სახლებსა და ზოგჯერ ქალაქის მთელ ნაწილებსაც ანგრევდნენ. ამას გარდა, გაცილებით გაუმჯობესებულია მუშების მატერიალური მხარე, რასაც ძალიან შეუწყო ხელი ტრედ-უნიონებისა და სხვა კოოპერატიულ დაწესებულებებმა. ინგლისში ჭლექის წინააღმდეგ შებრძოლი საზოგადოებანი დაარსდა მხოლოდ რამდენისამე წლის წინად, მანამდის კი ეს საქმე სავსებით სახელმწიფოს ხელში იყო. ზემოდ ჩამოთვლილ საშუალებათა გარდა ინგლისმა დიდი ხანია დაარსა საავადმყოფოები, სადაც უფასოდ არჩენდნენ ჭლექიანებს, უკითხავდნენ ამ ავადმყოფობის შესახებ სხვა-დასხვა წიგნებს, ხალხში ასიათასობით არიგებდნენ ბროშიურებს და სხვა. ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლას ნაყოფის მხრით ინგლისს მთელს ქვეყანაზე პირველი ადგილი უჭირავს, რადგან, ჯერ-ერთი, ინგლისში ნესტიანი, ცივი და ჭლექის გავრცელების ხელის შემწყობი ჰავაა, მთელი ქვეყანა უდიდეს ქარხანას წარმოადგენს და ამიტომ ჭლექიც ძლიერ უნდა იყოს გავრცელებული და, მეორეც, ამ ცუდ და ძნელ პირობების მიუხედავად ინგლისმა შესძლო და ჭლექით ავადმყოფთა რიცხვი ერთი-ორად შეამცირა, რაიც სხვა სახელმწიფოებს ჯერ ვერ მოუხერხებიათ. საფრანგეთში უმთავრეს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ხალხში რაც შეიძლება მეტი ცნობა გაავრცელონ ჭლექისა და იმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ე. ი. პროპაგანდას. ამ საქმეს ასრულებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი კი არა, არამედ ამ საქმისთვის ცალკე და განსაკუთრებული (სპეციალური) საზოგადოებები. ამგვარი დაწესებულებები საფრანგეთში მრავალია და მათი უმთავრესი მიზანი აგიტაციაა, რისთვისაც ათასგვარ ზომას ხმარობენ; მაგალითად: პარიზის ყოველ კუთხეში და სხვა ქალაქებში საჯაროდ კითხულობენ ლექციებს, ხალხს მილიონობით ურიგებენ ბროშიურებს, გაზეთებსა, მაღაზიებსა და რესტორანებში აკრავენ ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებისა და გაფრთხილების აფიშებსა და პლაკატებს, ბეჭდავენ ღია წერილებს, რომლებზედაც დახატულია ჭლექიანების ესა თუ ის სურათი, კონვერტებს გაფრთხილების წარწერით და სხვა. ამას გარდა საყურადღებოა გამოფენილი წესდებანი და სურათები საფრანგეთის ზოგიერთ დიდ საზოგადოებებისა, რომელთაც სოფლებში დაუარსებიათ ჭლექიანების კო-

---

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 2429.

იბა მარტო კლასობრივ განხეთქილებასა ბრძოლაზე ყვირილი იქ, სადაც ნატურა- ერი მეურნეობა მთლად არც-კი გამქრალა ხალხი მოქალაქობრივობას არ შეჩვე- , სადაც ადამიანურ პიროვნების შეგნება რ კიდევ გასაჩენი და გასავითარებელია, ჰნავს მხოლოდ მხედველობის სისუტესა და ავარ საჭიროებათა უყურადღებოდ დატო- ბას.

რას უნდა ელტვოდეს და რა აზრებს უნდა ცელებდეს ასეთი წრის მკითხველებში პრე- , რომ მან შესძლოს გავლენის მოპოვება ცხოვრებაში შესამჩნევ კვალის დაჩენა?

ქართულ პრესსის მოვალეობას და მიმარ ლების ხასიათს გვასწავლის თვით იმ ხა- ის მდგომარეობა, რომელშიაც მას უხდე- შრომა-მოღვაწეობა და მკითხველთა ოვება. ქართველ ხალხის მშრომელი ავლესობა მუშაობს და იბრძვის არ- ობისათვის, ცხოვრობს განსაზღვრულ სა- გადოებრივ ურთიერთობაში და ცდი- ბს ცოდნა-გამოცდილების შეძენას და ლტურულად განვითარებას. ეს იმას ნი- ავს, რომ იგი საქმიანობს ეკონომიურად, ოვრობს სოციალურად და წინ მიდის ოვნულად. და ის საკითხებიც, რომლების კვევა და განმარტება უნდა შეეძლოს ესსას, არის ეკონომიურის, სოციალურის ეროვნულის ხასიათისა.

მართალია, ჩვენი ძველებური ეკონომიური ობილება და ცხოვრება შესამჩნევად შეიც- ლა და, რაც დრო მიდის, მით უფრო თან თან იცვლება, მაგრამ ეს პროცესსი ისე დი ხნის არაა, რომ მუდამ ქაპან-წყვეტა- მყოფ დაბიო ხალხს ჰქონდეს შეძენილი ერო პრაქტიკული გამოცდილება, კონკრეტულ მოქმედებაში გაზომილ-გათვალისწინებული გეგმა და რეალურ ურთიერთობის შეგნება. ხშირად იგი უგზო-უკვლოდ ფათურობს, ბევრ დროსა და ჯაფას ხარჯავს იქ, საცა ნაკლებიც საკმარისი იქნებოდა და მეტ ნაყოფსაც მოიტანდა, ვერ ხმარობს, უვიცობის გამო, თავის ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ისეთ საშუალებასაც, რომლის დაწყებასა და შესრულებას იგი შესძლებდა და სხვა. ყველა ამას ვერ ახერხებს, რადგან არ აქვს საკმაოდ თანამედროვე ცხოვრების ალღო აღებული და მისი რთული აგებულობა გაცნობილი. და პრესსის მუშაკთ, რომელთაც გონებრივი შრომა გაუხდიათ თავის ხელობად, აქვთ მეტი შეძლება და მოხერხებაც დაწინაურებულ ერთა ცხოვრება და ეკონომიური განწყობილება შეისწავლონ და ჩვენს ხალხს გააცნონ და გააგებინონ. ევროპიულ იდეებისა და სწავლა-ცოდნის გადმოღებას და ჩვენში გავრცელებას ქართული პრესსა უნდა სთვლიდეს ერთ-ერთ თავის მთავარ მოვალეობად და დანიშნულებად. იგი უნდა იყოს მომხრე და გამავრცელებელი ყველა იმ ღონისძიებათა ცოდნისა, რომლებიც ხელის შემწყობია ხალხის უმრავლესობის ეკონომიურად გაღონიერებისა, თუნდაც ეს უმცირესობას ვნებას უქადოდეს და მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ჩვენს ცხოვრებაში არის ბევრი ისეთი გარემოება სოციალ-პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც აბრკოლებს და აფერხებს მშრომელის ეკონომიურ მოქმედების ნაყოფიერობას, სჩაგრავს პიროვნებას და ხელს უშლის კერძო თაოსნობისა და შემოქმედების განვითარებას. ყოველგვარი ეკონომიური საქმიანობა მოითხოვს თვის გაუმჯობესებისათვის შეგნებულს და აწონ-დაწონილ მოქმედებას, მოითხოვს გონებრივ სიფხიზლეს, ცოდნას და პრაქტიკულ დაკვირვებას, ხოლო უწინარეს ყოვლისა საჭიროებს მოქალაქობრივობისა და ადამიანის თვით მოქმედების გაძლიერებას. და ეს თვით-მოქმედება შეუძლებელია გაიფურჩქნოს და განვითარდეს იქ, საცა ადამიანის პიროვნება შებოჭილია და ხალხი გარეშე ძალთაგან დაბეჩავებულ-დამონებულია. იგი საჭიროებს მეტ თავისუფლებას, უფლებრივ თანასწორობას, თვით-მმართველობის ნიადაგზე აგებულ პრაქტიკულ მოქმედების სკოლას და გამოცდილებას, რომ შესძლოს უცხოთა ცოდნის შეთვისება, გადაღება და პრაქტიკულად განხორციელება. მუდმივ სხვის აპეკუნობის ქვეშ ყოფნა აჩლუნგებს გონებას და აზანტებს ადამიანის მოქმედებას. ამ მოხრუქის შეშვება და თვით-მოქმედებისათვის ასპარეზის გაფართოვება შეადგენს უმთავრეს პირობას ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისათვის. და პრესსა, რომელიც ამ მხარეს ყურადღებას აქცევს, თვით-ცნობიერებას აღვიძებს და პიროვნების უფლებისა და ადამიანობის შემეცნებას აფხიზლებს,—ხალხის სულს წვდება და მის გულითად სურვილ-მისწრაფებათ ელამუნება.

ამ და მსგავს პრინციპების განმარტება, ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებასთან შეგუება და ასე „გაქართულებულად“ მკითხველებში გავრცელება ნიშნავს ხალხის კულტურულად მომზადებას, მის გონებით ამაღლებას და იმავე დროს ეროვნულ ნიადაგზე მუშაობს. ეროვნების დაცვას აქვს აზრი და მიზანი, როცა იგი ჰხდება სინათლისათვის, წინმსვლელობისა და განვითარების გულისათვის. ეროვნული მხარე ის ნიადაგია, რომელზედაც უნდა გადმოინერგოს და აიგოს დაწინაურებულ ხალხთა თანამედროვე სწავლა და განათლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ხალხი ვერ შეითვისებს უმაღლეს განვითარებას, ვერ დაადგება წინმსვლელობისა და წარმატების გზას. ეროვნულ საფუძველს შეადგენს ენა, ზნე-ჩვეულება, ხალხის ფსიხიური ფიზიონომია, ხასიათი, ასე გასინჯეთ —გონებრივი შემეცნების წესიც-კი, რადგან ესეც ისტორიის განმავლობაში შემუშავებულა და ხალხის დამახასიათებელ თვისებად გადაქცეულა. ყველა ამ პირობებს ანგარიში უნდა გაეწიოს უმაღლეს კულტურის გადმოღებისა და გავრცელების დროს. ყოველგვარ ნასესხ თუ არა ნასესხ სწავლა-ცოდნას ამ ცხრილში უნდა ვატარებდეთ, თავისებურ ელფერს და ხასიათს უნდა ვდებდეთ, რომ ხალხმა იგი თავისად გაიხადოს, შეითვისოს და შეისისხლხორცოს. და პრესის უწმიდესი მოვალეობაა, განსაკუთრებით იმ პრესსისა, რომელიც ჩვენისთანა შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ემსახურება, ამ მხარეს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება,—გამოაღვიძოს და აამაღლოს ხალხოსნობის შეგნება და ეროვნული თვით-ცნობიერება.

ეს არის ზოგიერთი ნიშნები იმ მიმართულებისა, რომლითაც, ჩვენის აზრით, ქართული პრესსა მოიპოვებს ჩვენს ხალხში ნაყოფიერს ნიადაგს და დიდს გავლენა-მნიშვნელობას.

ფ. გოგიჩაიშვილი

ღონია, ჭლექიან ბავშვებისა და მოზრდილთა სანატორიები, სადაც წმინდა ჰაერითა და მუშაობით არჩენენ ავადმყოფებს. ზოგიერთი დიდი სანატორიები იმითაა საყურადღებო, რომ ჭლექით ავადმყოფთა ოჯახს, სანამ ოჯახის პატრონი ავადაა, ეხმარებიან, არჩენენ და ამის გარდა ავადმყოფს მორჩენის შემდეგ დახმარებას უწევენ. სანატორიებას შენებით და სიმრავლით ინგლისსაც და საფრანგეთსაც ძალიან წინ გაუსწრო გერმანიამ, სადაც ეხლა ასამდე სანატორიაა, რომელნიც უმთავრესად მუშების სიბერისგან დამზღვევ საზოგადოებებს ეკუთვნიან. ამ გვარი საზოგადოებები სანატორიებს ფულის მოსაგებად აშენებენ, რადგან აღმოჩნდა, რომ ისევ სჯობია დაჭლექებული მუშა ერთი ან ორი წელიწადი სანატორიაში შეინახონ და მოარჩინონ, ვიდრე მუშის სიკვდილის შემდეგ იმის ოჯახს რამდენისამე წლის განმავლობაში იკული აძლიონ. როგორიც უნდა იყოს ამ გვარ საზოგადოების მიზანი, ამ შემთხვევაში სულ ერთია, საყურადღებო-კი ის არის, რომ ამ საზოგადოებებმა დაუფასებელი სარგებელი მოუტანეს მთელს გერმანიას და სხვა სახელმწიფოებსაც. ბლიუმენტალის კოლექციაში შეგროვილია ათას გვარი სურათები სხვა-და სხვა სანატორიებისა, იმათი ანკარიში, ცენტრალური და მეორე ხარისხოვანი ბიურო-კანტორებისა, სადაც ყოველთვის და ყველას შეუძლიან მიიღოს რჩევა და ყველაფერი, რაც კი უნდა. ამ სანატორიების მნახველი, უეჭველია, იტყვის, მოაქვთ რამე მათ სარგებლობა თუ არა. ამის ასახსნელად იქვე ისევ ციფრებია გამოფენილი: ამ სანატორიებში 100 ჭლექით ავადმყოფიდან მორჩენილა 87, არ მორჩენილა 11, მომკვდარა 2. ზღვის პირზე აშენებული სანატორია Berch sur Mer-ში 100 ჭლექით ავადმყოფიდან მორჩენილა 74, მომკვდარა 7, არ მორჩენილა 18. ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, ვითომ ჭლექის მორჩენა შეუძლებელი იყოს—ტყუილია და ცრუ ხმებზეა დამყარებული. გერმანიაში ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ და მუშებას დამზღვევ საზოგადოებების შრომასაც, თუმცა ისეთი არა, როგორც ინგლისშა, მაგრამ მაინც კარგი შედეგი და ნაყოფი ჰქონია, რადგან ჭლექით ავადმყოფთა რიცხვი ერთი მესამედით შეუმცირებია. გამოფენაზე არ არის საკმაო მასალა იმის შესატყობად, თუ რაგვარ ბრძოლას უწევენ ჭლექს ამერიკასა და რუსეთში, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ მხრით ამერიკა ევროპას არ ჩამორჩენია და ჭლექიანების რიცხვი 35-იდან 21-მდის დაუმცირებია. რუსეთის შესახებაც არის ორიოდე ცნობა, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა სანატორია „ხალილა"-ს (ფინლიანდიაშია) ანგარიში. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ ას ჭლექით ავადმყოფიდან მორჩენილა 72, მომკვდარა 8, და არ მორჩენილა 19. ყველა ამ ციფრების გარდა გამოფენილია სანატორიების აუარებელი სურათები, წერილები, წესდებები, კატალოგები და სხვა. ეტყობა, ბ. ბლიუმენტალს ამ კოლექციის შესაგროვებლად დასჭირებია არა ერთი და ორი წელიწადი, რადგან ამოდენა მასალის შესაგროვებლად ერთის ქვეყნიდან მეორეში და მეორიდან მესამეში სიარული, დაკვირვება, სწავლა და ყველა იმის შეგროვებაა საჭირო, რაც ექიმმა ბლიუმენტალმა მოაგროვა. ამბობენ, ბ.-მა ბლიუმენტალმა უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში 16 ლექცია წაიკითხა ჭლექისა და იმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ამ ერთის კვირის შემდეგ ტფილისსაც მეწვევა. ექიმი ბლიუმენტალი, თურმე, მთელს რუსეთში დადის, თავის კოლექცია დააქვს და უსასყიდლოდ ლექციებს კითხულობს. ასეა თუ ისე, გამოფენა ძალიან საინტერესოა არა მარტო ექიმებისა და ჭლექით ავადმყოფთათვის, არამედ ყველასათვის, რადგან ამ სენს ჩვენშიაც აქვს გადგმული ფესვი, და მრეწველობის განვითარებასთან-კი ისიც განვითარდება.

ფოთის ქალაქის საბჭო

2 მარტი

თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავის მოადგილემ, ი. ს. ფანცხავამ წაუკითხა საბჭოს ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ჟანდარმთა აფიცრებს სახლის ქირა მოუმატოს, რადგან საბჭოს მიერ გადადებულ ფულით ხეირიან სახლის დაქირავება შეუძლებელიაო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა, მომავალის წლის პირველ იანვრიდან ჟანდარმთა აფიცრებს თითოს თვეში სახლის ქირა ხუთი მანეთი მოემატოს. საბჭომ მოისმინა პოლიცმეისტერის თავ. ვლ. აბაშიძის ქაღალდი იმის გამო, რომ ავადმყოფობისა გამო დაუძლურებულს და წვრილ ცოლშვილით დატვირთულს პოლიციის მოხელეს, ალ. იმხნელს საბჭომ შემწეობა აღმოუჩინოს. საბჭომ დაადგინა, იმხნელს ასი მანეთი შემწეობა აღმოუჩინოს. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მდინარე მალთაყვამდის გზატკეცილი, რომელიც ქალაქს გურიასთან აერთებს, სრულიად დამთავრდა და საჭიროა მალთაყვამდის ეტლზე ფასი დაწესდესო, რადგან ქალაქის მკვიდრი ზაფხულობით მალთაყვამდის ხშირად დაიარება, იმიტომ რომ იმის ახლოს მშვენიერი საგარაკე ადგილებიაო. ამაზე საბჭომ მეეტლებს, მდ. მალთაყვამდის მისვლა-მოსვლაში 1—50 კ. გადაუწყვიტა. განხილულ იქმნა საკითხი მეველოსიპედეთათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ. საბჭომ ჯერ-ჯერობით დაადგინა: აეკრძალოთ მეველოსიპედეთ ქალაქის ბაღსა და ტროტუარებზე სიარული. განიხილეს ქუჩების გამნათებელ ძველ მოიჯარადრის გაბუნიას თხოვნა იმ ფულების დაბრუნების შესახებ, რომელიც გამგეობამ ფარნების მიღების დროს დანაკლის ფარნებში დაუჭირა. საბჭომ თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა. ბოლოს განიხილეს ქალაქის ახალ დუქნების ამშენებელ მოიჯარადრის მიქაშვილის თხოვნა, რომელიც თხოულობდა ხარჯთ-აღრიცხვაზე დამატებულ ხარჯების დაბრუნებას. საბჭომ კანონიერად სცნო მიქიაშვილის თხოვნა და პირობის გარდა 257—45 კ. მისცა.

ი. იანეთელი

რუსეთის ქრონიკა

◆ 25 თებერვალს ადესის სამოსამართლო პალატას განუხილავს საქმე პოლიციელ გ. შელისა, ხ. დანკვესი, კ. როტისა და ლუტცისა, რომელთაც სამსახურის აღსრულების დროს სასიკვდილოდ უცემნიათ ვიღაც რენიხისათვის. როგორც სასამართლოში გამორკვეულა, ღამე ვიღაც ბეკკერი გაუქურდნიათ; პოლიციელთ ეჭვი მიუტანიათ ახალგაზრდა რენიხზე და დაუტყვევებიათ. რადგან რენიხი ქურდობაში არ გამოტეხილა, პოლიციელებს დაუწყიათ ცემა და ისე მაგრად უცემნიათ, რომ იმავე დღეს საღამოს რენიხი გარდაცვლილა. სასამართლოში პოლიციელებმა თავი დამნაშავედ აღიარეს. პალატას გადაუწყვეტია ოთხივე დამნაშავისათვის სამ-სამის თვით დაპატიმრება („იუჟ. ობოზ.").

◆ „რუსკ. ვედ." ატყობინებენ ომსკიდან, რომ იქ ადგილობრივი ფირმები დიდ გაჭირვებაში არიან. მიზეზი ისაა, რომ ჯარის საჭიროებისა გამო რკინის გზით საქონლის გზავნა შეწყვეტილია. მცხოვრებნი შეშინებულნი არიან.

◆ როგორც „რუს. სლ." იუწყება, როსტოვში გაჩენილან ახალი ჯურის პატრიოტები, რომელნიც თურმე თავის ჯიბის გასასქელებლად სარგებლობენ ხალხის პატრიოტული აღფრთოვანებით. 14 თებერვალს შეუნიშნავთ ორი ახალგაზდა რომელნიც წითელი ჯვრის სასარგებლოთ ფულებს აგროვებდნენ. ნამდვილად კი, როგორც შემდეგში აღმოჩენილა, ფული თავისთვის წაუღიათ. ასეთსავე სიყალბეში დაუჭერიათ ერთი ვიღაც დურგალი, რომელსაც 50 მანეთის შეკრება უკვე მოესწრო.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში

4 მარტს მოხდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება ვიცე-პრეზიდენტის უგან. თ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. ხაზინადარმა ა. ბ. ევანგულოვმა წაიკითხა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლისა. წელს სკოლის სასარგებლოდ შემოსავალი მოსალოდნელია 19,862 მან. 23 კაპ. ამდენიც ხარჯი იქნება. კრებამ დაამტკიცა აღრიცხვა, დაამტკიცა აგრეთვე ანგარიში კავკასიის საიუბილეო გამოფენის კომისიის მოქმედებისა 1902 წ. 1 მარტიდან 1904 წ. 1 იანვრამდე. კომისიას მიუღია მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან ვალების გასასტუმრებლად 26660 მან. 73 კაპ. დიპლომები და მედლები გაუყიდნია 2426 მან. და სხვა, სულ 30,619 მან. 38 კაპ. ვალები კომისიას გაუსტუმრებია, დარჩენია ტფილისის ქალაქის გამგეობისა 2605 მან. 24 კაპ. რადგან ამ ფულის გასასტუმრებლად საზოგადოებას არავითარი სახსარი არ მოეპოება, კრებამ დაადგინა, დაავალოს საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ საზოგადოებას ეპატიოს ეს ვალი. ხაზინადარმა გააცნო კრებას ანგარიში 1903 წლისა. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია 12,600 მან. 20 კაპ., ხოლო დახარჯვია 11047 მან. 15 კაპ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და შეუდგა საზოგადოების ამა მიმდინარე წლის სავარაუდო აღრიცხვის განხილვას. წელს საზოგადოებას სხვა-და-სხვა წყაროებიდან მოსალოდნელია შემოუვიდეს 19,457 მან. 69 კაპ. აქედან გაზეთის გამოსაცემად გადადებულია 3400 მ. საბაღოსნო სკოლის შესაწევად 4525 მან. კამათი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: საზოგადოებას ამ ჟამად 200 წევრი ჰყავს და რომ ვიანგარიშოთ 10 მან. საწევრო ფულის კვალობაზე, საზოგადოებას უნდა შემოუვიდეს 2000 მან. აღრიცხვაში კი აღნიშნულია 600 მან. ზოგიერთი წევრი შეეკითხა: რა მიზეზია, რომ ამდენი წევრები გვყავს და მარტო 600 მან. მოველითო. ხაზინადარმა ა. ბ. ევანგულოვმა განუცხადა კრებას, მე კერძოდ ბარათებს არ ვუგზავნი წევრებს და არ ვაგონებ ხოლმე დროზე ფულის გარდახდას, ამისთვის დრო არა მაქვს და გთხოვთ ხაზინადრად სხვა ვინმე აირჩიოთო. კრებამ დაადგინა, აღრიცხვაში აღნიშნული მუხლი უსათუოდ წევრთა რაოდენობის მიხედვით იყოს ხოლმე შეტანილი და თუ იმის თანახმად შემოსავალი არ იქნება, მაშინ საშუალება იქნეს მიღებული, რომ წესდებისამებრ დროზე ფულის არ შემომტანნი საზოგადოებიდან გამოირიცხონ ხოლმე. ბ-ნმა რცხილაძემ მოითხოვა საბჭომ ვრცელი მოხსენება წარადგინოს ხოლმე. კრებამ საჭიროდ სცნო სავარაუდო აღრიცხვასთან ერთად საბჭომ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს ხოლმე კრებას. კრებამ უცვლელად მიიღო მიმდინარე წლის სავარაუდო აღრიცხვა. ამავე სხდომაზე კრებას უნდა ამოერჩია ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგე. როგორც გვქონდა აღნიშნული, საბაღოსნო სკოლის გამგის კანდიდატად სკოლის სამეურნეო კომისიამ დაასახელა ბ-ნი ხუნდაძე. თავმჯდომარემ აცნობა კრებას, სკოლის მზრუნველისაგან ქაღალდი მივიღე; მზრუნველი მთხოვს, სკოლის გამგის არჩევანი კრებამ გადასდოსო. ზოგმა წევრმა ამის გამო საყვედური განაცხადა. მაგრამ კრებამ სკოლის გამგის არჩევანი მაინც გადასდო. კამათი გამოიწვია აგრეთვე ბ-ნ სოკოლოვის შეკითხვამ, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საბაღოსნო სკოლის მზრუნველს საზოგადოების მიერ არჩეულ სკოლის სამეურნეო კომისიასთანაო. კრებამ დაადგინა, დაავალოს საზოგადოების საბჭოს, შეადგინოს კომისიისა და მზრუნველის სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია და წარუდგინოს კრებას განსახილველად. დასასრულ, კრება შეუდგა სარედაქციო და საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიების წევრთა არჩევანს. სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქმნენ ქალანთარი, ვ. რცხილაძე, ე. იოსელიანი, სააკოვი და როტინიანცი. სამეურნეო კომისიაში ვ. ა. სოკოლოვი, დანდუროვი, ა. ბ. ევანგულოვი, ამირაღოვი და რცხილაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

კილი. იმპერატორმა ვილჰელმმა მეფე ალფონსი გერმანიის ფლოტში ჩარიცხა.

პავლოგრადი. ღამე ვიღაც შეიარაღებული ბოროტ-განზრახველნი თავს დაესხნენ კოფმანის საბანკო კანტორას. კასირს რამდენჯერმე ესროლეს. ვერაფრის წაღება ვერ მოახერხეს.

სტამბოლი თავიდან აცილებულ იქნა ის დაბრკოლებანი, რომელნიც გამოიწვია მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსის ჯიორჯის უფლებათა განსაზღვრამ; მაგრამ მაინც ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ის უთანხმოება, რომელსაც იწვევს ერთის მხრით პორტას სურვილი—შეადგინოს თავის გეგმა ჟანდარმერიის რეორგანიზაციისა და მეორეს მხრით რუსეთ-ავსტრიის სურვილი—მიაღებინოს პორტას უკვე შემუშავებული პროექტი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ქალებს მიენიჭათ ხმის უფლება.

ლონდონი. კემბრიჯის ჰერცოგი გარდაიცვალა.

5 მარტი.

პეტერბურგი. გენერალმა ბოგდანოვიჩმა გამოსცა მშვენიერი სურათი წარწერით, რომელზედაც დახატულია საისტორიო გმირობა „ვარიაგისა" და „კორეეცისა".

ვილნო. სამლოცველო შედარებით მცირედ დაზიანდა: დაზიანებულია ანალოი, ჩამტვრეულია ფანჯრები. ბოროტ-მოქმედი ვერ იპოვეს.

ვენა. დეპუტატთა პალატა. პალატამ უნდა განიხილოს წინადადება მლადოჩეხების დეპუტატთა, რომელნიც თხოულობენ, რომ რუსეთის ფასიან ქაღალდების ავსტრიაში განაღდების ნება დართონ. ამ დეპუტატთა აზრით, ავსტრიის ფინანსებისათვის სასარგებლო იქნება ასეთი განაღდება.

5 მარტი

ტურინი. აოსტას ჰერცოგი სეირნობის დროს ცხენიდან ჩამოვარდა და დაშავდა. ჰერცოგი ტკივილებს უჩივის, მაგრამ თავს კარგად გრძნობს.

სტამბოლი. 3 მარტს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებმა პორტას გადასცეს დამატებითი განმარტება იმ მემორანდუმისა, რომელიც შეეხება მაკედონიის ჟანდარმერიის რეორგანიზაციას. იმედი აქვთ, რომ პორტა მიიღებს მემორანდუმს და რეფორმების განხორციელების საქმე წინ წავა.

სალონიკიდან იტყობინებიან სამოქალაქო აგენტები შესანიშნავის ენერგიით მოქმედებენ; ორის თვის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს, განსაკუთრებით გადასახადების გაწეს-რიგების შესახებ; ბევრნი პირნი, რომელთაც შეძლება არ ჰქონდათ, გადასახადებისაგან სრულიად გაანთავისუფლეს, ბევრს-კი შეუმცირეს გადასახადები. სამოქალაქო აგენტებმა ბევრი გააკეთეს აგრეთვე დაპატიმრებულთა განთავისუფლებისა, სასამართლოს გაუმჯობესებისა, ხელახლად სკოლებისა და ეკლესიების გახსნისა და მცხოვრებთა აუარებელ საჩივრების დაკმაყოფილების შესახებ.

ტყუილია ის ცნობა, ვითომ დემერიკს დროებით სამსახურიდან განთავისუფლება ეთხოვოს. მაულერი ადრე დაბრუნდა ვენიდან, სადაც იყო წასული თავის ოჯახობის მოსაყვანად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. 12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. 9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქართლ-კახეთ-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორამ თავის თანადასწრებით დანიშნა ვაჭრობა 9, და ხელ ახლად ვაჭრობა 13 აპრილის 1904 წ., დავით-გარეჯის მონასტრის სახნავ-სათიბ და საძოვარ ადგილების იჯარით გასაცემათ, რომელიც შეიცავს 5000 დესეტინას. იჯარის ვადა არის ექვსი წელიწადი. ვაჭრობა დაიწყება 1500 მანეთიდგან. მსურველთ შეუძლიანთ, თანახმად 99 მუხ. სახელმწიფო იჯარის დებულებისა, მოსცენ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორას თხოვნა, რომელიც უნდა იყოს დაწერილი 60 ღერბის ქაღალდზე, და რომელთანაც უნდა იყოს წარმოდგენილი: 1, პასპორტი ანუ სხვა რაიმე მისის პიროვნების დამამტკიცებელი მოწმობა, და 2, ბე, არა ნაკლებ ერთი მესამედი იჯარის ქირისა, იჯარის უზრუნველ საყოფელი. დაწვრილებითი პირობები შეუძლიანთ მიიღონ მსურველთ ქართლ-კახეთ-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის კანცელარიაში 8—2 საათამდის. ამასთანავე შეიძლება დაბეჭდილი კონვერტების გამოგზავნა.

(3—6—3)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჰიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავ ჰიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავი 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვე რათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილ 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—9)

Дозв. ценз. Тифлисъ 5 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.